

# ორდენსანი გურგენიძის მიერ ვალების ხაფანგში გაბმული ქვეყანა

გაზეთი “ყველა სიახლე” – 10-16 ივნისი, № 23, 2010.

4 ივნისს საგალუტო აუქციონზე კომერციულმა ბანკებმა მოითხოვეს 86 მილიონი ლოდარი, ეროვნულმა ბანკმა კი, მიუხედავად არსებული საგალუტო რეზერვებისა, მხოლოდ 7 მილიონი გაყიდა, რამაც საგალუტო ბაზარზე მყისვე წარმოშვა დეფიციტი და პანიკა, რასაც მოჰყვა ეროვნული ვალუტის ნახტომისებური ვარდნა. იმავე დღეს ეროვნულმა ბანკმა ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 1.84 გამოაცხადა, თუმცა კომერციულ ბანკებსა თუ გადამცვლელ ჯიხურებში ეს ნიშნული 1.90-ს ასცდა. უკვე მერამდენედ, ხელოვნური დეფიციტის წარმოშობით ლარის კურსი ერთბაშად ეცემა, თანაც მანცდამაინც კვირის ბოლოს. დღეს ვითარება თითქმის დარეგულირდა, მაგრამ ეროვნულ ვალუტას კიდევ როდის მოუწყობენ “მწვანე პარასკევს”, არავინ იცის. გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, ბატონი ლადო პაპავა.

- უპირველესად უნდა ითქვას, რომ ქვეყნაში მიმდინარეობს ლარის დევალვაცია და ეს პროცესი ობიექტურია. ბუნებრივია იბადება კითხვა, რატომ?
- იმიტომ, რომ ქვეყანა იმყოფება კრიზისულ ვითარებაში, რასაც ემატება რუსული აგრესიის შედეგები, და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა. მოგეხსენებათ, რუსული აგრესიის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, რამაც თავის მხრივ განაპირობა სტაბილური, მყარი უცხოური ვალუტის ქვეყნაში შემოსვლის შემცირება. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა კი იმოქმედა ინვესტიციების შემოსვლაზეც და ამასთანავე, შეამცირა ფულადი გზავნილების ოდენობა. ვგულისხმობ იმ გზავნილებს, რომელსაც ჩვენი საზღვარგარეთ მცხოვრები თანამოქალაქეები უგზავნიან ახლობლებს. ეს გზავნილები შემცირდა იმის გამო, რომ სადაც ისინი არიან, იქაც ეკონომიკური კრიზისია. ამას ემატება ქართული სინამდვილე, დღევანდელი ვითარებით, ექსპორტი ოთხჯერ ჩამორჩება იმპორტს, ანუ ოთხჯერ მეტ უცხოურ ვალუტას გაარგავთ, ვიდრე ექსპორტიდან

ვდებულობთ, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან ცუდი მახასიათებელია. დღეს ერთდაერთი სტაბილური წყარო, რომლითაც იდებს საქართველო უცხოურ ვალუტას არის ის ფინანსური დახმარება, რომელიც ქვეყნას 2008 წლის ოქტომბერში, როგორც ომის მსხვერპლს, გამოეყო. ასეთ პირობებში ლარი გაუფასურება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ არსებობს თანდათანობითი გაუფასურება და არის ნახტომისებური. თანდათანობით გაუფასურებას ის უპირატესობა აქვს, რომ ასეთ შემთხვევაში ბაზარი ადავილად ახდენს ვითარებისადმი ადაპტირებას, არ არის შოკები, არ არის გაურკველობა ფასწარმოქმნაში. კი ფასები იზრდება, მაგრამ იზრდება ნელ-ნელა, უმნიშვნელოდ. ნახტომისებურ გაუფასურებაში კი ის არის ცუდი, რომ ეს იწვევს სრულ გაურკვევლლობას. ასეთ დროს დაბნეულობაა ბანკებში, ვალუტის გადმცვლელ ჯიხურებსა და ბაზარზე, სადაც 80% იმპორტირებული საქონელია. აქედან გამომდინარე, ასეთი ნახტომები ქმნის ბაზარზე პანიკას, რაც ძალიან ცუდია.

– საქართველოში ბოლო ხანს ლამის ტრადიციად დაკვიდრდა ლარის დევალვაციის პროცესის ნატომისებური განვითარება, რატომ?

– იმისთვის, რომ დევალვაცია არ იყოს ნახტომისებური და შოკის მომგვრელი ქვეყნაში არსებობს ეროვნული ბანკი, რომლის ერთერთი უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და თუ დევალვაცია მაინც გარდაუვალია, მოახრეხოს, რომ ეს პროცესი იყოს პროგნოზირებადი. ამისთვის მის ხელშია ისეთი ინსტრუმენტი, როგორიც სვალუტო რეზერვებია, რისი გაყიდვის ხარჯზეც შეუძლია უზრუნველყოს თანდათანობითი გაუფასურება, ისე, რომ კურსი ნახტომისებურად არ დაეცეს. მაგრამ ეროვნულ ბანკს შეუძლია ასევე არაპროგნოზირებადი ნაბიჯების გადადგმა და პანიკის გამოწვევაც. ასეთი ნახტომის კლასიკური მაგალითი იყო 2008 წლის 7 ნოემბერი, როდესაც ეროვნულმა ბანკმა ბანკთაშორის სავაჭრო ბირჟაზე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა, შეწყვიტა ვაჭრობა, რამაც გამოიწვია პანიკა და ერთ დღეში პრაქტიკულად 15%-ით გაუფასურდა ლარი დოლართან მიმართებაში. ამას სერიოზული პანიკა და არეულობა მოჰყვა, თუმცა სამწუხაროდ, მაშინ არავის პასუხესიმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ამას მე დავარქვი „მწვანე პარასკევი“, თუმცა ვიმედოვნებდი, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. მაგრამ კვლავ დაუშვეს შეცდომა 2010 წლის იანვარში,

როდესაც ისევ იყო ნახტომი და ლარი დოლართან მიმართებაში ხუთი თეთრით გაუაფასურდა. ეროვნულმა ბანკმა “მწვანე პარასკევი” 4 ინვისაც მოუწყო ეროვნულ ვალუტას. ნამდვილად აღარ მეგონა, რომ მსგავსი რამ კიდევ მოხდებოდა. წინასაარჩევნოდ ხელისუფლების სურვილი იყო, რომ მაქსიმალურად შეენარჩუნებინა კურსი და ამით სტაბილურობის განცდა გაეჩინა საზოგდოებაში. დევალვაცია ხდებოდა, თუმცა უმნიშვნელოდ, მიმაჩნია, რომ ამ ვითარების შენარჩუნება კვლავაც შეეძლოთ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულში ტურისტულ სეზონთან ერთად იწყება ვალუტის შემოდინებაც. ამასთანავე, ვითარებას შემოდგომაზე ამსუბუქებს ისიც, რომ სამომხმარებლო კალათაში ჩნდება ქართული სასოფლო-სამუშაოები პროდუქტებიც, მოკლედ, თითქოს არანაირი აუცილებლობა არ იყო ასეთი ნახტომისა, თანაც ეს გააკეთეს ისევ პარასკევს, კვირის ბოლოს, რაც პანიკას კიდევ უფრო აძლიერებს ხოლმე. სრულიად გაუგებარია ჩემთვის რას ემსახურება ასეთი საქციელი. ამ პანიკის შედეგი იყო, რომ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში თითქმის 1.95-მდე ავარდა. შაბათს სავალუტო ჯიხურებში დოლარს ვეღარ იშოვიდით. რბილად ვიტყვი, რომ დაშვებულია შაცდომა, თუ დანაშაული არა, თუმცა ამის მტკიცება რომ ეს ყველაფერი განზრახ გააკეთეს არ გამოვა, რადგან ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მაქს. ამ ყველაფრის მიზეზად კი მოვიჩნევ, ინფანტილიზმს, რაც ასე დამკვიდრდა ჩვენს სახელმწიფოში. მოკლედ, ბავშვები თამაშობენ, ზოგი პრეზიდენტობანას თამაშობს, ზოგი მთავრობანას, ხომ გახსოვთ, ბავშვებმა ითამაშეს ომობანაც, ახლა კი ერთობიან სავალუტო ბაზრის რეგულირების თამაშით. სამწუხაროდ, სახელმწიფობრივი მიდგომა საქმისადმი არსად ჩანს. მოკლედ, მაგათვის საბავშვო ბალი გრძელდება ისევ.

— ეს თამაში როგორ აისახება რიგით მოქალაქეზე?

— ძალიან ცუდად. ჩვენ სამომხმარებლო კალათში ისედაც ცუდი მდგომარეობა, 80% იმპორტული საქონელია, იმპორტიორმა რა უნდა ქნას, დოლარზე ყიდულობს და ლარში ყიდის, ხომ? ბუნებრივია, რომ ის იძულებული იქნება ყველაფერი გააძვიროს. გაძვირდა კიდეც. ბაზარი კი იძულებული იქნება ეს მიიღოს, რადგან სხვა თუ არაფერი, პირველი მოხმარების საგნებზე ხომ მაინც ვერ ვიტყვით უარს? აი, ეს არის ჩვენი ინფანტილური ხელისუფლების საქმიანობის შედეგი. ამის გარდა ლარის ეს ნახტომისებური ცვლილება ქმნის

სპეციალაციური გარიგებების საფუძველს.

– ვინ იღებს ხეირს ამ პროცესებისგან?

– ის, ვინც წინასწარ იცოდა, რომ ეს იყო დაგეგმილი. არავინ მითხრას, რომ ეს არ იყო წინასწარ დაგეგმილი და გარკვეულმა ჯგუფმა ეს წინასწარ არ იცოდა. თანაც კარაგდ ვხედავთ, რომ როგორც 2008 წლის ნოემბერში, ამის გამო არც არავინ დასჯილა.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო სახელმწიფო დაკვეთა?

– შექმნილი ვითარება წარმოქმნის მსგავსი ეჭვების საფუძველს.

– ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, მსგავსი პოლიტიკით ხელისუფლება ცდილობს საბიუჯეტო პრობლემების მოგვარებას....

– ამ გზით თანხების მოზიდვა ბიუჯეტში ხადება, მაგრამ ამას აქვს თავისი პლუსი და მინუსი. პლუსი ის არის, რომ საბაჟო შემოსავლი იზრდება, რადგან ფასები დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, თუმცა გადასახდის გადახდა ხდება ლარში, ანუ ბიუჯეტი ამ გზით იზრდება. მაგრამ სამაგიეროდ ძვირდება საგარეო ვალის მომსახურება.

– ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი საგერო ვალის ოდენობა, რამდენად საგანგაშო ვითარებაა ამ თვალსაზრისით?

– საგარეო ვალი ჩენი შიდა პროდუქტის 30%-ზე ცოტა მეტია, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება საგანგაშო ვითარებად, მაგრამ საშიშია სხვა რამ არის. 2013 წელს დასაბრუნებელი გევქნება ის ნახავარმილიარდიანი ვალი ევრობლიგაციებით რომ ავიღეთ, რომელიც ქვეყანას კისერზე ჩამოკიდა ლადო გურგენიძემ. ახლა ორდენი კი მიიღო, მაგრამ ქვეყნა ურთულეს ვითარებაში ჩააგდო. რაში დაიხარჯა ეს ფული, არავინ არაფერი იცის. ჩვენი ოპოზიციონერი დეპიუტატები პარლამენტში სდუმან და კითხვას არ სვამენ ამის თაობაზე. 2013 წელს საქართველო ამ ვალის გამსტუმებელი ვერ იქნება, ნახავარიმილიარდი დოლარი ლარებში, თანაც მისი წლიური შვიდნახევარი პროცენტით, სადღაც 800-900 მილიონ ლარამდე ადის, ხოლო თუ კუსრის ვარდნა გაგრძელდა, შეიძლება მილიარდასაც კი გადააჭრაბოს. 2013 წელს კონსტიტუციის მიხედვით საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩავატაროთ, წარმოუდგენელია ბიუჯეტი ვალის მომსახურებისთვის ამხელა თანხა ვინმებ ჩადოს. ნებისმიერი საპარლამენტო უმრავლესობა ეცდება თავისი კანდიდატი გაიყვანოს და საბიუჯეტო ხარჯები უფრო სხვაგვარად დაგეგმოს. გამოდის, რომ ძველის დასაფარად ახალი

საგარეო ვალი უნდა ავიღოთ, ისევ ევროობლიგაეციებით და სავარაუდოდ, ისევ ხუთი წლით. საქართველო იმ ვითარებაში აღმოჩნდება, როგორც “ციფრი ბორბალში” და ამას უნდა ვუმადლოდეთ ლადო გურგენიძეს, რომელმაც ქვეყანა სავალო “ხაფანგში” გააბა. ასევე, იმ შეღავათიან სესხს, რომელიც 2008 წელს ავიღეთ, შეღავათის ათწლიანი ვადა 2018 წელს გასდის, ამ წელს მოგვიწევს, საგარაუდოდ, იმ ვალის გასტურების დაწყებაც, რომელსაც დაემატება გურგენიძის ვალებიც. მოკლედ, საგარეო ვალი არ არის საგანგაშო ოდენობის, მაგრამ მისი გასტურების სტრუქტურაა ქვეყნისთვის სახიფათო.

**– რას იტყვით ხელისუფლების ახალ ინიციატივაზე შეიტანოს საგადასახო კოდექსში ცვლილებები?**

– ბევრი საინტერსო წინანადება მოვისმინე, აშკარად კეთილი სურვილებია გამოთქმული, თუმცა ნუ ვიჩქარებთ, ვნახოთ როგორ პროექტს შეიტანს მთავრობა პარალამენტში და მერე ვილაპარაკოთ. კარგია, რომ 30 000 ლარიანი ბრუნვის მქონე მეწარმე გადასახდებიდან გათავისუფლდება, მაგრამ საკითხავია როგორ უნდა გაკონტროლდეს შემოსვალის ოდენობა. ლაპარაკია სალარო-აპარატების დაკანონებაზე, თუმცა ეს ასეთი მცირე ბრუნვიანი მეწარმისთვის სერიოზულ პრობლემად იქცევა. ვშიშობ, რომ ეს ინიციატივა მავანის სალარო-აპარატების ბიზნესის წახალისების მიზნით არ იყოს წარმოდგენილი. არის კიდევ უამარავი საკითხი, რაც კითხვის ნიშნებს ბადებს, მაგრამ საბოლოო პროექტის შემუშავებმადე თავს შევიკავებ შეფასებებისგან.

**ესაუბრა ნათია დოლიძე**